ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის (2027-2030 წწ) მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შეხვედრა
ოქმი №03

ორგანიზაციის დასახელება:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
თარიღი:	03.08.2026 წ.		
ადგილმდებარეობა:	ქედის მუნიციპალიტეტი დ. ქედა მ. კოსტავას ქ. №3		
შეხვედრის ორგანიზატორი:	ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - გიორგი მგზავრიძე	მდივანი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსის მ.შ - გიორგი მგზავრიძე

1. შეხვედრის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მომზადება

2. დამსწრეები

დამსწრე	თანამდებობა	დამსწრე	თანამდებობა
მამუკა თურმანიძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერი	იმედა ვასაძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
მამუკა ფარტენაძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი
გენადი ანანიძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი	შორენა თურმანიძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ.
ეკა გოგუაძე-მახარაძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	ბადრი სურმანიძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,
სულიკო სურმანიძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	შოთა ბერიძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
ქედის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი	ქედის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში	გულადი წითელაძე	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი

3. განსახილველი თემა

3.1 ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის სამოქმედო გეგმა

4. საკითხის განხილვა

საკითხის წარმდგენი:

ეკა გოგუაძე-მახარაძემ- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 08 ივლისის „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" N385 ბრძანების, ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 25 თებერვლის „ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე" №ბ94.94260561 ბრძანების შესაბამისად წარმოდგენილ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი სამსახურების/ორგანიზაციების წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა ქედის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი პროგნოზები, რომლის მიხედვითაც გაიწერა გადასახდელები.
პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული ღონისძიებები რაც მნიშვნელოვნია, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2027 წლის პარამეტრებში სავარაუდო მონაცემები არის ასახული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარების ოდენობა, რომელიც უნდა ეცნობოს მუნიციპალიტეტს არაუგვიანეს 05 ნოემბრისა. აქედან გამომდინარე შემდგომში მოხდება მისი დაზუსტება და ასახვა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტში. შესაბამისად წარმოდგენილ დოკუმენტში 2027-2030 წლებისათვის მისი მოცულობის სავარაუდო მაჩვენებლები არის ასახული.

კომენტარები:

გენადი ანანიძე - საზოგადოებრივი საჭიროებისთვის მნიშვნელოვანია 2027 წელში და შემდგომ წლებში გაგრძელდეს ინფრასტრუქტურის მიმართულების მნიშვნელოვანი თანხების მობილიზება, რამეთუ ინფრასტრუქტურის განვითარება ჩვენს მუნიციპალიტეტს უფრო მეტად მიმზიდველს ხდის, როგორც ტურისტებისათვის, ასევე ინვესტორებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის. ამიტომ უნდა გაგრძელდეს ინფრასტრუქტურული კაპიტალური პროექტების დაფინანსება და მნიშვნელოვანი წილი უნდა იყოს ჩვენს ბიუჯეტში ასახული.
შორენა თურმანიძე - მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია 2027 წელში და შემდგომ წლებში გაგრძელდეს სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით თანხების ზრდა, ჩვენი მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით.
ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე - მნიშვნელოვანია მომავალ წლებში კულტურული, სპორტული, ახალგაზრდული და განათლების მიმართულებით თანხების გამოყოფა. კარგად ჩამოყალიბებული ღონისძიებები აღნიშნულ სფეროებში აერთიანებს საზოგადოების დიდ ნაწილს, ამ ღონისძიებებს მაშტაბურად შეუძლია გაზარდოს დაინტერესება კონკრეტული მუნიციპალიტეტის, რეგიონის, ან ქვეყნის მიმართ, ამიტომ მნიშვნელოვანის მსგავსი ღონისძიებების არსებობა და შესაბამისად მომავალ წლებშიც მისი ბიუჯეტში ასახვა.

გადაწყვეტილება:

მოწონებულ იქნა 2027-2030 წლების ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი (თანდართული დანართის სახით).

წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი წარმოადგენს არსებული პერიოდისთვის საორიენტაციო მონაცემებს, რომლის კორექტირება და ცვლილებების შეტანა მოხდება 2027 წლის ბიუჯეტის პირველადი პროექტის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენისას.

5. დავალება	პასუხისმგებელი პირი	შესრულების ვადა

შესაბამისი ფინანსური პროგნოზების დაზუსტების შემდგომ ცვლილებები შევიდეს საბიუჯეტო შემოსავლების საპროგნოზო მონაცემებში და მომზადებულ იქნეს ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი	ეკა გოგუაძე-მახარაძე	11.11.2026
ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად საბიუჯეტო ორგნიზაციებმა (მუნიციპალური სამსახურები /ორგანიზაციები) უზრუნველყონ საბიუჯეტო განაცხადების კორექტირებული ვარიანტის მოწოდება	ქედის მუნიციპალიტეტის სამსახურები და ორგანიზაციები	02.11.2026

6. შემდეგი შეხვედრა		
თარიღი: დაზუსტდება	დრო: დაზუსტდება	ადგილმდებარეობა: დაზუსტდება
მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადება		
ხელმოწერა:		
მამუკა თურმანიძე ქედის მუნიციპალიტეტის მერი		
ეკა გოგუაძე-მახარაძე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი		
გიორგი მგზავრიძე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსის მ/შ.		